

საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის სხდომა

თარიღი: 2022 წლის 28 ნოემბერი

ოქმი

ესწრებოდნენ:

გამგეობის წევრები:

- მერაბ ანთაძე (დაბადებული 04.08.1952 წ., პირადი № 01005001907)
- კობა გიორგაძე (დაბადებული 26.10.1979 წ.; პირადი № 60001009009)
- თორნიკე გოგებაშვილი (დაბადებული 16.01.1989 წ.; პირადი № 12001014781)
- მამუკა გორგოძე (დაბადებული 14.07.1984 წ., პირადი № 01031003677)
- ზვიად თავართქილაძე (დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი № 01029001924)
- დავით კაჭარავა (დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი № 01035000140)
- გიორგი კობახიძე (დაბადებული 23.11.1953 წ., პირადი № 01011021299)
- იოსებ ტყემალაძე (დაბადებული 25.12.1976 წ., პირადი № 01024009582)
- გივი ჭიჭინაძე (დაბადებული 02.07.1959 წ.; პირადი № 01009002077)
- ალექსანდრე ხვედელიძე (დაბადებული 21.10.1965 წ., პირადი № 01014002287)

სხდომის მომწვევი: დავით კაჭარავა, სრკ-ს გამგეობის თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარე: დავით კაჭარავა

სხდომის მდივანი: ნატალია კურტანიძე

სხდომაზე დამსწრე სხვა პირები:

- სრკ-ს პრეზიდენტის მრჩეველი ნიკა ალავიძე
- სრკ-ს მაღალი მიღწევების ადმინისტრატორი შალვა ხაბულიანი
- სრკ-ს პროფესიული რაგბის განვითარების მენეჯერი
- იურისტი ედუარდ ნაჭყებია

სხდომამ განიხილა დღის წესრიგში შევამალი შემდეგი საკითხები:

სხდომამ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირის (სრკ) საერთო კრების (ყრილობა) თარიღის და ადგილის დადგენა;
2. სრკ-ის ნამდვილ წევრთა სიისა და მათი პრემიალური ხმების დამტკიცება;
3. სრკ-ს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა;
4. სრკ-ის საერთო კრების დღის წესრიგის დამტკიცება;
5. სრკ-ის საერთო კრების რეგლამენტის დამტკიცება;
6. სრკ-ის საერთო კრების სამდივნოს (ხმის დამთვლელი კომისიის) წევრთა დამტკიცება
7. ეროვნული ნაკრების მენეჯერთა პრემირების საკითხის განხილვა;

8. საქართველოს I ლიგის ფლეიოფის გათამაშების სისტემის შეცვლაზე მსჯელობა;
9. 2023-2024 წლის სათამაშო სეზონში დიდი 10-ის ლიგაში მონაწილე კლუბების (გუნდების) რაოდენობის ცვლილების განხილვა.
10. სრკ-ს პრეზიდენტის მოხსენება.

1

პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირის (სრკ) საერთო კრების (ყრილობა) თარიღის და ადგილის დადგენას, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:

სრკ-ის წლიური საერთო კრება მოწვეული იქნას 2022 წლის 23 დეკემბერს დეკემბერს სასტუმრო „თბილისი მარიოტის“ წვეულებათა დარბაზში (მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 13) რეგისტრაციის დასაწყისი 13:00 საათზე.

2

მეორე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სრკ-ის ნამდვილ წევრთა სიისა და მათი პრემიალური ხმების დამტკიცებას, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:

ა) დამტკიცდეს სრკ-ის ნამდვილ წევრთა სია და მათი პრემიალური ხმები წარმოდგენილი სახით (დანართი #1);

ბ) კლუბებს (გუნდებს) რომლებსაც შესაძლოა გაუჩნდეთ პრეტენზია გამგეობის მიერ დამტკიცებულ ნამდვილ წევრთა სიასთან და მათი პრემიალური ხმების რაოდენობასთან დაკავშირებით, უფლება აქვთ 2022 წლის 16 დეკემბრის 18:00 სთ ჩათვლით სრკ-ს კანცელარიაში და/ან სრკ-ს ელექტორულ ფოსტაზე (OFFICE@RUGBY.GE) წარმოადგინონ თავისი დასაბუთებული წერილობითი განცხადება, რომლის გადამოწმებისა და დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაში, სრკ-ს მიერ მოხდება ნამდვილ წევრთა სიისა და ხმათა რაოდენობის კორექტირება.

3

მესამე საკითხთან დაკავშირებით, სრკ-ს აღმასრულებელმა დირექტორმა წარუდგინა გამგეობის წევრებს სრკ-ს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც ასახავს სრკ-ს შემოსავლების სავარაუდო ოდენობას და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სავარაუდო ღირებულებას. კითხვების შემდეგ, რომლებიც ეხებოდა ამა თუ იმ ნაკრების საქმიანობის ბიუჯეტს წლის განმავლობაში, სრკ-ს გამგეობამ მოიწონა წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი საერთო ყრილობისთვის წარსადგენად.

4

მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სრკ-ის საერთო კრების დღის წესრიგის დამტკიცებას, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:

სრკ-ის 2022 წლის 23 დეკემბრის საერთო კრების დღის წესრიგად განისაზღვროს:

1. 2022 წლის სრკ-ს გამგეობის და პრეზიდენტის ანგარიში;
2. სრკ-ის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა;
3. სრკ-ს 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
4. სრკ-ს წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

საერთო ყრილობის დღის წესრიგზე მსჯელობისას, გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს აღმასრულებელი დირექტორის თორნიკე გოგებაშვილის განმარტება საქართველოს კულტურისა და ახალგაზრდობის სამინისტროს რეკომენდაციის თაობაზე, რომელიც ეხებოდა სპორტული ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის ვადების შეზღუდვას და ერთხმად დაადგინეს, რომ საქართველოს კულტურისა და ახალგაზრდობის სამინისტროს რეკომენდაციის საფუძველზე, სრკ-ს საერთო ყრილობისთვის დასამტკიცებლად შეთავაზებულ იქნას სრკ-ს წესდებაში შემდეგი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა:

25-ე მუხლს დაემატოს 25.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

25.4. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს კავშირის პრეზიდენტად ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

5

მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სრკ-ის საერთო კრების რეგლამენტის დამტკიცებას, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:

ა) საერთო კრების რეგლამენტი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით (დანართი #2).

6

მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სრკ-ის საერთო კრების სამდივნოს (ხმის დამთვლელი კომისიის) წევრთა დამტკიცებას, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:

ა) სრკ-ის 2022 წლის 23 დეკემბრის საერთო კრების სამდივნო (ხმის დამთვლელი კომისია) დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით: ედუარდ ნაჭყებია (პ/ნ: 01010015003), ნინო ფერაძე (პ/ნ: 01006005962), ია ხურცილავა (პ/ნ: 010130002510), მირიან თავზარაშვილი (პ/ნ: 01019006895).

7

მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ეროვნული ნაკრების მენეჯმენტის პრემირების სისტემის შეცვლის საკითხს, გამგეობამ მოისმინა საქართველოს რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორის თორნიკე გოგებაშვილის განმარტება მასზედ, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N39 დადგენილების შესაბამისად, ნაკრების წევრებზე ფულადი პრიზების გაცემისას სამემოსავლო გადასახადი უკავდება მხოლოდ ნაკრების მენეჯერებს.

მსჯელობის შედეგად, სრკ-ს გამგეობამ ერთხმად დაადგინა, რომ საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მენეჯერების პრემია კოეფიციენტი 0.5-ის ნაცვლად განისაზღვროს 0.75-ის ოდენობით.

8

მერვე საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობამ მოისმინა პროფესიული რაგბის განვითარების მენეჯერის ივანე დავითაშვილის განმარტება პირველი ლიგის კლუბების მოთხოვნის თაობაზე, რომელიც ეხებოდა საქართველოს I ლიგის ფლეიოფის გათამაშების ფორმატის შეცვლას დიდი 10-ის არსებული ფორმატის ანალოგიურად, რაც უზრუნველყოფს I ლიგის კლუბებს შორის შეჯიბრის უფრო თანასწორ, სამართლიან პირობებში წარმართვას. მან ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული ცვლილების მომხრე არის პირველი ლიგის ყველა გუნდი. მსჯელობის შედეგად, გამგეობის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ დაკმაყოფილდეს კლუბების მოთხოვნა იმ პირობით, რომ სრკ მიიღებს პირველი ლიგის ყველა კლუბის ოფიციალურ წერილის შეცვლილ ფორმატზე. I ლიგის დებულებაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

9

მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის (დიდი 10) მონაწილე გუნდების რაოდენობის შემცირებას, გამგეობამ მოისმინა იოსებ ტყემალაძის განმარტება კლუბებში არსებული განწყობის თაობაზე. 26 და 27 სექტემბერს გაიმართა იოსებ ტყემალაძის შეხვედრა კლუბების წარმომადგენლებთან, რომლის დროსაც კლუბების დიდმა უმრავლესობამ დააფიქსირა, რომ მათთან არ იყო საკმარისი კომუნიკაცია, რომელიც მათ დაარწმუნებდა საქართველოს ჩემპიონატის რეფორმის ეფექტურობაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სრკ-ს პრეზიდენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია ამ საკითხის გამგეობის წევრებთან ერთად კიდევ ერთხელ განხილვა.

ამასთანავე, იოსებ ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მაღალი მიღწევების და რაგბის განვითარების საკითხების ეფექტურად მართვის მიზნით, იქმნება მსოფლიო რაგბისა და სრკ-ს წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული კომისია, რომელსაც შეუძლია აღნიშნული საკითხის შესწავლა ქართული რაგბის სპეციფიკისა და საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინებით. გამგეობის წევრები დაეთანხმნენ სრკ-ს პრეზიდენტს, რომ ქართული რაგბისთვის ამდენად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას, აუცილებელია სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მქონე კომისიის მოსაზრებების და რეკომენდაციების გათვალისწინება.

მსჯელობის შედეგად, გამგეობამ 8 ხმით 2-ის წინააღმდეგ (მერაბ ანთაძე, ლაშა თავართქილაძე) მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) საქართველოს ჩემპიონატის რეფორმის (მ.შ. დიდ 10-ში გუნდების რაოდენობის შემცირების) განხორციელება გადავადდეს 1 წლით.

ბ) დაევალოს სრკ-ს და მსოფლიო რაგბის წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ სპორტულ კომისიას საქართველოს ჩემპიონატის რეფორმის საკითხის შესწავლა და სრკ-ს გამგეობისთვის განსახილველად შესაბამისი დასკვნის წარდგენა.

გ) აღნიშნული საკითხის გადაწყვეტამდე, 2023-2024 წწ. სეზონში საქართველოს ჩემპიონატის რეფორმის განხორციელება შეჩერდეს (მ.შ. დიდი 10-ის ფორმატი და მონაწილე გუნდების რაოდენობა დარჩეს უცვლელი).

სამომავლოდ, გამგეობის წევრებმა გამოთქვეს სურვილი სისტემატურად შეისწავლონ სპორტული კომისიის დასკვნები და რეკომენდაციები მაღალი მიღწევების და განვითარების მიმართულების სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

10

კრების დასასრულს, სრკ-ს პრეზიდენტმა გამგეობის წევრებს გააცნო მნიშვნელოვანი სიახლეები და გეგმები სრკ-ს საერთაშორისო ურთიერთობების, სპონსორებთან ურთიერთობის და ინფრასტრუქტურის მიმართულებით.

მერაბ ანთაძე _____

კობა გიორგაძე _____

თორნიკე გოგებაშვილი _____

მამუკა გორგოძე _____

ზვიად თავართქილაძე _____

დავით კაჭარავა _____

გიორგი კობახიძე _____

იოსებ ტყემალაძე _____

გივი ჭიჭინაძე _____

ალექსანდრე ხვედელიძე _____